ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №119

ქალაქი ბაღდათი

31 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ არჩილ გოგსაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,, Smart Choice ” (ს.კ. 404944245, მის: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მ/რ. 3კვ. კორპ.1. ბ.19)(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმომდგენილი დირექტორის ვასილ ჯაფარიძის სახით, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.5. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია

#	მომსახურების/პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	ელექტრონული ტაბელი ბარათის წაკითხვის ფუნქციით	1	884	884
2	ტურნიკეტი Tansa LTT313 (ერთ ფრთიანი)	1	3589	3589
3	ინსტალაცია	1	70	70
4	ბარათი	170	2.10	357
	სულ ფასი (დღგ ჩათვლით)			4 900

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4 900 ლარს.

2.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისას არსებული თიბისი ბანკის კომერციული დოლარის ყიდვის კურსით.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ავანსის ჩარიცხვიდან 15 **სამუშაო დღის განმავლობაში.**

3.2. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება განხორციელდება პროდუქციის სრული ღირებულების დაფარვის შემდეგ **3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

3.3. პროგრამული უზუნველყოფის ჩაწერა, ახსნა და გამართვა ხდება დისტანციურად, თუ შემყიდველის მოთხოვნაა ადგილზე მოხდეს ზემოთ აღნიშნული, ხელშეკრულების ღირებულებას ემატება 70 ლარი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

3.4. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

3.5. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბაღდათი , წერეთლის #9

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ორ ეტაპად

4.2.1 თავდაპირველად ხდება ხელშეკრულების ღირებულების 70% ავანსის სახით დაფარვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მოწოდების ვადას.

4.2.2 დარჩენილი 30% დაფარვა ხდება აპარატურის მიწოდების შემდეგ, პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებამდე.

5. გარანტია და მომსახურება

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

5.2 საგარანტიო პერიოდი განისაზღვრება აღრიცხვის სისტემის, ტურნიკეტების, შლაგბაუმის და ვიდეოთვალთვალის სისტემის ნებისმიერ მოდელზე 18 (540 დღე) თვით.

5.2.1 საგარანტიო პერიოდში მოიცავს ნებისმიერი სახის მხოლოდ მექანიკური დაზიანების აღმოფხვრას და მასში არ იგულისხმები 5.3 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური / საკონსულტაციო/ პროგრამული მომსახურება.

5.2.2 გარანტია მხოლოდ 3 თვით ვრცელდება ნებისმიერი ტიპის საკეტზე, დაშვების სისტემებზე (გარდა ტურნიკეტების და შლაგბაუმის), კვების ბლოკზე, კვების ბლოკის დამტენზე.

5.3 უფასო ტექნიკური / საკონსულტაციო/ პროგრამული მომსახურების პერიოდი განისაზღვრება 3 (90 დღე) თვით.

5.4 5.2 და 5.3 პერიოდის ათვლა იწყება მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოასწოროს/აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რომელსაც გამოავლენს საქონელი მხოლოდ სწორი ექსპლუატაციის პირობებში.

5.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ გაუმართაობა გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით.

5.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ შემსყიდველი არ უზრუნველყოფს მიმწოდებლის პროგრამისტის 24 საათიან წვდომას სერვერზე ან იმ კომპიუტერზე, სადაც დაინსტალირებულია პროგრამული უზრუნველყოფა.

5.6 გარანტია/მომსახურება პროდუქტზე ვრცელდება ყველა შემთხვევაში გარდა:

5.6.1. ნივთის კორპუსზე არ იკითხება ან ამძვრალია სერიული ნომერი

5.6.2. მოწყობილობას აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური დეფექტი/დაზიანება

5.6.3. დაზიანებულია ან ამძვრალია პლომბი ან ლუქი

5.6.4. მოწყობილობა გამოიყენებოდა მისი დანიშნულების შეუსაბამო მიზნით

5.6.5. მოწყობილობა დაზიანდა მის გვერდზე მდგომი სხვა მოწყობილობის გამო

5.6.6. მოწყობილობა დაშლილია (გახსნილია) თვითნებური შეკეთების ან რაიმე სხვა მიზნით

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.6.7. პროგრამული უზრუნველყოფა "Smart Report"-ი წაშლილია / დაზიანებულია თვითნებურად მიმწოდებელთან შეუთანხმებლად

5.6.8 პროგრამული უზრუნველყოფა "Smart Report"-ი წაშლილია / დაზიანებულია კომპიუტერული ვირუსით

5.6.9. დაზიანება გამოწვეულია მექანიზმში უცხო სხეულის ან სითხეების შეღწევით

5.7.10. დაზიანება გამოწვეულია არაკვალიფიციური სარემონტო/ სამონტაჟო სამუშაოების შედეგად

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო შემსყიდველს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გასულია 10 კალენდარული დღე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების მინიმუმ 90% არ არის დაფარული.

6.2. დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა არ შეიძლება მეტი იყოს ხელშეკრულების ღირებულის 50 % პროცენტისა

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია ერთპიროვნულად დაადგინოს პირგასამტეხლოს ოდენობა 6.2 პუნქტით განსაზღვრულ პროცენტის ფარგლებში

6.4. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ შემსყიდველი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

7.4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა უნდა ეცნობოს მეორე მხარეს , და მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. მიმწოდებელს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ბ) თუ შემსყიდველს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) თუ მიმწოდებლისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

შემსყიდველი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულო
MUNICIPALITY BOARD OF ADMINISTRATION OF BAGDATI

მიმწოდებელი

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

11.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელ

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. **ხელშეკრულება ძალაში შედის** ხელშეკრულების ხელისმოწერის თარიღიდან და **მოქმედებს** 5.2 პუნქტში მითითებულ 18 თვის (540 დღის) ჩათვლით

მიმწოდებელი:

შემსყიდველი:

სსიპ "თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი"
ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.#9
კოდიTTREGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.200122900

მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/მ:

/არჩილ გოგსაძე/

შშს „Smart Choice"
მის.: თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. 6
ოფისი: 032 219 5 219
ს/კ: 404944245
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა.ა **GE 85 TB 7948436020100003**

/ვასილ ჯაფარიძე/

SMART CHOICE ELECTRONICS * 404944245 *

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „Smart Choice" დირექტორი ვასილ ჯაფარიძე, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი წარმომდგენელი მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ არჩილ გოგსაძის სახით ამ აქტით ვადასტურებთ, არჩილ გოგსაძემ ჩაიბარა შემდეგი სახის მომსახურება/პროდუქცია მომსახურება/პროდუქცია

№	მომსახურების/პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	ელექტრონული ტაბელი ბარათის წაკითხვის ფუნქციით	1	884	884
2	ტურნიკეტი Tansa LTT313 (ერთ ფრთიანი)	1	3589	3589
3	ინსტალაცია	1	70	70
	ბარათი	170	2.10	357

შემსყიდველი:

სსიპ "თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი"
ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.#9
კოდიTTREGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.200122900

მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ:

/არჩილ გოგსაძე/

მიმწოდებელი:

შპს „ Smart Choice"

მის.: თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. 6

ოფისი: 032 219 5 219

გაყიდვები:

ს/კ: 404944245

Email: info@smartchoice.ge

Site: Smartchoice.ge

FB: Facebook.com/SmartChoiceElecntronics

თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ა.ა **GE 85 TB 7948436020100003**

/ვასილ ჯაფარიძე/

SMART CHOICE ELECTRONICS * 404944245 *

შემსყიდველი

მიმწოდებელი